დღეს ნოქეშია

- სამგზისტებმა გვასახელეს
- მსოფლიო რეკორდი ... წყალქვეშ
- ითამაშეს ჰოხონელიძემ, გავაშელმა...

მოსკოვის გუნდების — „ფილისა“ და „ავტომობილისტის“ რეგბისტთა შეხვედრაში „ფილის“ კაპიტანმა გავრილოვმა კარგად ასრულებლა მეტოქე გრიგურეთის შეტაკებით და ბურთი მეტოქის ჩარჩოს მოედანზე დატოვებით.

სურათზე: გავრილოვმა უკან ჩამოიტოვა გრიგორიევი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(რეგბიში საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

№ 139 (4133)

1970 წ. 18 ივლისი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

როგორც ცნობილია, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავე საბჭოთა სპორტსმენებმა ახლახან ედმონტონის (კანადა) მსოფლიო ჩემპიონატებში დიდი წარმატება მოიპოვეს. 16 ივლისს გამართულ მიღებაზე საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. არუთინიანმა ამ ახპარეზობის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, აგრეთვე, გუნდების მესვეურებს საპატიო სიგელები და კომკავშირის სამკერდე ნიშნები გადასცა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მსოფლიო ჩემპიონებს კლასიკურ ჭიდაობაში — ალმაათელებს ა. ნაზარენკოს და ვ. რეზანცევს, ჩემპიონებს თავისუფალ ჭიდაობაში — კიეველ ვ. გულიუტკინს, მოსკოველ მ. სტრახოვსა და მახაჩყალელ ი. შახმურადოვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.

ᲥᲐᲚᲠᲘ ᲥᲐᲜᲔᲥᲘ

● **ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ**, 16 ივლისი. ბალახის ჰოკეიში I ევროპული ჩემპიონატის სასტარტო მატჩს სსრ კავშირის ნაკრები ინგლისელებთან. ჩაატარებს. სულ ამ ტურნირში, რომელიც 18-27 სექტემბერს გაიმართება ბელგიის დედაქალაქში, 19 ქვეყნის გუნდები ითამაშებენ. ევროპული ჩემპიონატი ფაქტიურად I მსოფლიო ჩემპიონატის (1971 წლის თებერვალი, ჰაკისტანი) საკლასიფიკაციო შეჯიბრება იქნება. გუნდები კენჭისყრის მიხედვით ოთხ ჯგუფად დანაწილდნენ. საბჭოთა ნაკრები II ჯგუფშია, სადაც აგრეთვე გამოდიან ჰოლანდიის, ავსტრიისა და დანიის კოლექტივები. ყოველ ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ მეოთხედფინალურ მატჩებში, რომლებიც 24 სექტემბერს გაიმართება. ფინალური შეხვედრის თარიღია 27 სექტემბერი.

● **ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ**, 16 ივლისი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „იბმ“ — ორი ტურის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ 1,5 ქულა მოაგროვა — ჯერ ყაიმზე შეუთანხმდა გლიგორიჩს (იუგოსლავია), II ტურში კი დაამარცხა იონგსმა (ჰოლანდია). ასეთივე შედეგი კიდევ ოთხ მოჭადრაკეს აქვს, მათ შორის, ლ. პოლუგაევსკის (ყაიმი ჰოლანდიელ ჰარტოგთან და მოგება ე. გელერთან). გელერს ნახევარი ქულა აქვს (ყაიმი ჩეხოსლოვაკიელ ჰორტთან).

● **ᲢᲣᲠᲘᲜᲘ**, 16 ივლისი. დანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ დამთავრებულ I მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, რომელსაც 35 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ანგარიშით 2:0 (1:0) დაამარცხა იტალიის გუნდი — ევროპის თასის მარშანდელ ფინალში იტალიელებთან წაგების (1:3) რევანში აიღო. III ადგილი დაიკავა მექსიკის ნაკრებმა, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სძლია ინგლისელებს — 3:2.

● **ᲔᲙᲝ-ᲡᲣᲛᲘᲢᲘ** (აშშ), 16 ივლისი. აქ გაიმართა აშშ-ს მრავალჭიდაობათა ჩემპიონატი. ათჭიდში იმარჯვა ჯ. უორკენტინმა, რომელმაც 8026 ქულა მოაგროვა. ხუთჭიდში ჩემპიონი გახდა პ. ბენკი — 4735 ქულა.

ᲥᲐᲚᲠᲘ ᲥᲐᲜᲔᲥᲘ

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 16 ივლისი. აქ გაიმართა უკრაინის პირად-გუნდური ჩემპიონატი წყალქვეშა სპორტში. კიეველმა ი. ზირიანოვამ 800 მ ფარფლებით 9 წუთსა და 4,8 წამში გაცურა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 17 ივლისი. „დინამოს“ სასროლეთზე გრძელდება ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობენ.

„გაჭცეულ ირემზე“ სროლაში ყველას აჯობა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა, რომელმაც 232 ქულა მოაგროვა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლაში ქალთა შორის იმარჯვა ს. ბუჩუკურმა (თბილისი) — 590.

მოსკოველმა ნ. რასკაზოვამ მცირეკალიბრიანი პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობაში 382 ქულა მოაგროვა და ცენტრალური საბჭოს რეკორდი დაამყარა. მისი მაჩვენებელი 2 ქულით სჯობს საკავშირო რეკორდის არეგისტრაციო ნორმატივს.

ᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

საჩუქარი სეზონის მიხედვით

ამ შუა ზაფხულის სეზონში კარგი საჩუქარი მიიღეს გეოკ-ტეპინსკის რაიონის ფიზკულტურელებმა: რაიონულ ცენტრში, სტადიონის ტერიტორიაზე 25-მეტრიანი საცურაო აუზი აიგო.

აუზის გახსნაზე ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ნაკრების წყალბურთელები და აშხაბადის ნორჩი მოცურავეები.

აშხაბადი. (საკდესის კორ.).

ᲒᲝᲚᲐᲛ ᲠᲔᲖᲐ ᲤᲔᲮᲚᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ირანის პრინცმა, ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გოლამ რეზა ფეხლევიმ 14 ივლისს მთელი დღე ბორჯომში გაატარა. პრინცთან ერთად ქალაქ ბაგრაკში იყო ირანის ელჩი სსრ კავშირში ამად მირფენდერესკი.

15 ივლისს დილით ირანელი სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ გოლამ რეზა ფეხლევის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ირანის პრინცმა მადლობა გადაიხადა გულწრფელი მასპინძლობისთვის. ჩვენ, თქვა მან, დიდხანს გვემახსოვრება საქართველოში გატარებული დღეები.

იმავე დღეს, საღამოს, გოლამ რეზა ფეხლევი სოჭში გაფრინდა. თბილისიდან გაემგზავრა ირანის ელჩი სსრ კავშირში ამად მირფენდერესკიც. (საქდესი).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ!

ამას წინათ მინსკში გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკავშირო პირად-გუნდური პირველობა სამბოში. შეჯიბრების მასშტაბსა და მნიშვნელობაზე ასეთი ფაქტებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ: ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები; სულ იყო 190 მონაწილე, მათ შორის, 105 სპორტის ოსტატი. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი მძლავრი კონტინგენტი ზოგჯერ საკავშირო ჩემპიონატსაც არა ჰყავს.

მით უფრო საინტერესოა საქართველოს სამბისტთა წარმატება, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკაუთრეს. მძაფრ ბრძოლაში მათ ჩამოიტოვეს ყველა ფავორიტი, მათ შორის, რსფსრ-ს ძლიერი კოლექტივი, შარშანდელ ასპარეზობაში გამარჯვებული უკრაინის გუნდი, მოსკოვის ნაკრები...

პირად ჩათვლაში ჩვენი თანამემამულეთა წარმატება 9 საპრიზო ადგილით გამოიხატა. ჩემპიონი გახდა ს. ნიუარაძე (80 კგ), რომელმაც ერთის გარდა ყველა ბრძოლა წმინდად მოიგო. ფინალში მან დიდი უპირატესობით (9 ქულით) დაამარცხა ბელორუსიის წარმომადგენელი დ. ასტაკოვი.

II საპრიზო ადგილები დაიკაუთრეს ბ. მარიდაშვილმა (66 კგ), ა. მარგველანმა (75 კგ), გ. ნონიკაშვილმა (86 კგ), III—გ. აკოფოვმა (58 კგ), შ. გულიაშვილმა (86 კგ), ა. ზურაბაულმა (93 კგ), თ. ასანიძემ (100 კგ), გ. გზირიშვილმა (მძიმე).

თბილისში დაბრუნების შემდეგ ვესაუბრეთ გუნდის მწვრთნელს ბ. მაზიაშვილს. მან თქვა: „ასეთი დიდი გამარჯვება, პირველ ყოვლისა, კოლექტივის ერთსულოვნებასა და დისციპლინაზე მეტყველებს. და კიდევ, •გი პირდაპირი პასუხია იმ დიდი ზრუნვისა და დახმარებისა, რასაც „დინამოს“ ძირეული კოლექტივის ხელმძღვანელობა გვიწევს“.

• • •

სურათზე: გამარჯვებული გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — რ. მაზანაშვილი, თ. მაღალთაძე, ვ. საბაშვილი, ზ. სახვაძე, გ. გოგიჩაიშვილი, გ. აკოფოვი, ბ. მარიდაშვილი, გ. ნონიკაშვილი; მეორე რიგში (დგანან) — გუნდის წარმომადგენელი ა. თელია, თ. ასანიძე, ა. ზურაბაული, ს. ნიუარაძე, გ. გზირიშვილი, ნ. აბულაძე, შ. გულიაშვილი, გუნდის უფროსი ბ. გაბელია, მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას — ღირსეული შეხვედრა!

იმედის თვალით შევყურებთ

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგებზე „ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრა ამ სახეობაში საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი **ზ. ქორიძე.** გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

„ლელო“ ინტერვიუ

● **ვინაიდან ჩვენი საუბრის თემას რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგები შეადგენს, ზოგიერთ ტრაფარეტულ შეკითხვას თავს ვერ დავაღწევთ. თუ შეიძლება გვიპასუხეთ, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ტურნირმა?**

— საუცხოო. უფრო კონკრეტულად: ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 125 ათლეტმა. ჯერ მარტო ეს ფაქტია მაუწყებელი, რომ ასპარეზობას სერიოზულად მოეკიდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები, ორგანიზაციები. რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ნაკრების თითქმის ყველა წევრმა. ესეც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. სარბიელზე არ გამოსულა, და ისიც საპატიო მიზეზით, მხოლოდ თ. მაჭავარიანი. შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და საკმაოდ მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩატარდა.

● **რას იტყვით ტურნირის გეოგრაფიაზე? როგორი იყო რაიონების წარმომადგენლობა ჩემპიონატში?**

— შეჯიბრება ჩატარდა ტერიტორიული პრინციპით. მონაწილენი გამოგზავნა თითქმის ყველა რაიონმა, რომელთაგანაც მაღალი კლასის ოსტატებს ველოდით. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მახარაძის რაიონი, რომელიც რესპუბლიკურ ჩემპიონატებში სხვა დროს მუდამ სრული გუნდით ასპარეზობდა. ყოველი კოლექტივის შემადგენლობაში 10 ათლეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბევრმა გუნდმა დამატებით 7-8 ახალგაზრდა მოჭიდავეც ჩამოიყვანა. ჩვენ მათ საამისოდ საგანგებო ნებართვა მივეცით. სასიამოვნოა, რომ საქართველოს რაიონებში გამოჩნდა მოჭიდავეთა ახალი გვარები.

● **ჩვენი აქილევსის ქუსლი მუდამ მძიმე წონა იყო. როგორაა წლეულს ამ მხრივ საქმე?**

— მძიმე წონაში 8 გოლიათი ასპარეზობდა. თანაც, არც ერთი მათგანის წონა არ იყო 115 კილოგრამზე ნაკლები. ასეთ შემადგენლობაზე რესპუბლიკური კი არა, საკავშირო ჩემპიონატიც არ იტყოდა უარს.

● **ყველაზე მსუბუქ წონებზე რას იტყვით?**

— დაბალი კატეგორიები ბევრი ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი იყო. წლეულს უმჩატეს წონაში 8 მონაწილე ასპარეზობდა, მჩატეში კი 10. როგორც ჩანს, ყინული გალღვა. ახლა ყველაფერი ბეჯით შრომასა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

● **როგორც ჩანს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას იმედის თვალით უნდა შევყურებდეთ.**

— ჩემპიონატმა საშუალება მოგვცა დაგვენახა, რა გვაქვს კარგი, პერსპექტიული, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ რაიონებში საქმე სწორადაა დაყენებული. ადრე მათ სასპარეზოდ ჩამოჰყავდათ ასაკგადაცილებული ვეტერანები, ჩამოჰყავდათ იმისთვის, რომ გუნდს ჩათვლა მიეღო. ახლა კი გუნდები მთლიანად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. ეს ნიშნავს, რომ სავაისოდ არჩევანი უფრო მრავალფეროვანი გვექნება.

● **კარგია, რომ კმაყოფილი ხართ რაიონული კადრებით. როგორი იყო მათი როლი პრიზიორთა ადგილების განაწილებაში?**

— საპრიზო ადგილების უმეტესობა როგორც მოსალოდნელი იყო, გამოცდილებმა გაინაწილეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ახალგაზრდებს ჯერ კიდევ აკლიათ სატურნირო ბრძოლაში წრთობა და, თუ გნებავთ, ოსტატობაც. მაგრამ ზოგიერთ მათგანზე ლაპარაკი ახლავე შეიძლება. მაგალითად, ძალიან მომეწონა ქუთაისელი კანდელაკი და მახარაძელი მახარაძე, რომელიც მხოლოდ პირად ჩათვლაში ასპარეზობდა. მომეწონა სხვა მათი თანატოლებიც, რომლებიც, პირველ ყოვლისა, მონდომებულნი არიან და ხარბად ითვისებენ ყოველ საქმიან შენიშვნას. ჩემპიონატი მათთვის კარგი სკოლა იყო.

● **თუ იყო რაიმე სიახლე ჩემპიონატის ორგანიზაციაში?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, იყო. ჯერ ერთი, ტურნირს ემსახურებოდნენ ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი არბიტრები. ასეთი რამ არ ახსოვს არც ერთ წინა ჩემპიონატს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყოველ წონით კატეგორიაში შეიქმნა მეთვალყურე სპეციალისტთა ბრიგადები, რომლებმაც საჭირო და სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს. ამ ბრიგადების გამოცდილების გაზიარება დიდ სამსახურს გაუწევს მწვრთნელებს შემდგომ საქმიანობაში.

თასები განაწილდა

●●

ასპარეზობენ მოსწავლეები

●●

დამთავრდა ცხაკაიას რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრებები გარდამავალ თასებზე მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში.

მძლეოსნობაში, ფრენბურთში (გოგონები) და კალათბურთში (გოგონები) თასები მე-4 სკოლის გუნდებმა მოიპოვეს. კალათბურთსა (ჭაბუკები) და ხელბურთში მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს, ფრენბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში კი თასი მე-5 სკოლის ნაკრებს დარჩა. ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში ბადალი არ ჰყავდათ მე-3 სკოლის სპორტსმენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელთა ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა, საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და თასი უკვე მე-4 სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოიპოვა.

ე. ბუზუნავა.
(ჩვენი კორ.)

ცხაკაია.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ორდღიანი დასვენების სიკეთე

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფიზკულტურულ კოლექტივებში გაიზარდა მოთხოვნა და პასუხისმგებლობა მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისთვის.

რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში ორდღიან დასვენებას კარგად იყენებენ. მშრომელთა აქტიურ გართობა-დასვენებას საერთო ხელმძღვანელობას უწევენ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, სპორტული საზოგადოებები, უწყებები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები.

მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები უმეტესად დასვენების დღეებში იგეგმება, რაც ხელს უწყობს მასობრიობას და გამორიცხავს მშრომელთა სამუშაოდან მოცდენას.

ამ ბოლო ხანს ფართო პოპულარობა მოიპოვა 8 მარტისადმი, საბჭოთა კონსტიტუციისა და ფიზკულტურელის დღეებისადმი მიძღვნილმა ტრადიციულმა პირველობებმა, რომლებსაც მაღალ დონეზე ატარებენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და გორის ფიზკულტურის კომიტეტები. მთელ რიგ რაიონებში იმართება მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ფიზკულტურულ-სპორტული ზეიმი.

ქუთაისისა და მახარაძის ფიზკულტურის კომიტეტებთან ნაყოფიერად მუშაობენ მშრომელთა დასვენების ხელმძღვანელობის საზოგადოებრივი კომისიები; „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოსთან შექმნილია მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მეთოდური საბჭო, რომელიც დახმარებას უწევს კოლექტივებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის უკეთ წარმართვაში; „სპარტაკის“ თბილისის საბჭო საინტერესოდ ატარებს ტრადიციულ შეჯიბრებას თევზაობაში, რომელმაც სხვადასხვა ასაკის ათასობით მშრომელი მიიზიდა. „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ სპეციალური პლენუმიც კი მიუძღვნა მასობრივ-გამაჯანსაღებელ საკითხებს.

ორდღიან დასვენებას აქტიური გართობა-დასვენებისთვის კარგად იყენებენ თბილისის სპორტკლუბ „ფეიქრის“, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, კერამიკული და „სამტრესტის“ საწარმოო კომბინატების, თბილფოსტამტის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნისა და აბრეშუმის კომბინატის, ჭიათურის ახალი ითხვისისა და ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, გორის ბამბეულის კომბინატის, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, გულრიფშის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარელის რაიონის ხილკენკროვანი წვენების ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი, სადაც მეთოდისტის შტატი არა აქვთ, მაგრამ მასობრივ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობას მზრუნველობას არ აკლებს ქარხნის დირექტორი გ. გიორგაძე. მისი თაოსნობით აქ მოეწყო შესანიშნავი სპორტული მოედნები, სისტემატურად იმართება შიდასაკოლექტივო პირველობები. მშრომელები ქარხნის მიერ შეძენილი ნავებით შაბათ-კვირას აქტიურად ისვენებენ ქარელის ტბაზე.

გამოსასვლელ დღეებში მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა თბილისის ზღვაზე, ლისის ტბაზე, მთაწმინდის, ვაკისა და ორჯონიკიძის სახელობის, ბათუმის, ფოთის და გორის კულტურისა და დასვენების პარკებში. აქ ყოველწლიურად იზრდება გასაქირავებელი სპორტული ინვენტარის რიცხვი, უფრო ორგანიზებული და სრულყოფილი ხდება მასობრივი გართობა-დასვენების ღონისძიებები.

რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის, „ლოკომოტივისა“ და ჭიათურის საცურაო აუზებმა ფართო მუშაობა გაშალეს მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მოსაზიდად, მათთვის ცალკე დღეები და საათები გამოყვეს.

მშრომელთა ინტერესებს სულ უფრო მეტად ეხმაურებიან თბილისისა და ქუთაისის ტურისტული კლუბები, რომლებიც ბევრ საინტერესო ღონისძიებას ატარებენ დასვენების ორ დღეს.

მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაცია და კოლექტივი ჯერ კიდევ სრული პასუხისმგებლობით როდი ეკიდება მშრომელთა ორდღიანი დასვენების უკეთ მოწყობას. მაგალითად, თბილისის ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხანაში, № 2 სამშენებლო ტრესტში, ბამბის ქარხანაში, საქენერგოს ზაჰესის ფილიალის ქარხანაში, მცხეთის ხე-ტყის დამმუშავებელ, აგარის შაქრის, მახარაძის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ადგილმრეწველობის კომბინატებში, მერიისა და ნაღობილევის კოლმეურნეობებში, გურიანთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დღემდე არაფერი გაკეთებულა ამ მიზნით.

არის ფაქტები, როცა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში არ ითვალისწინებენ სამუშაო დღეებს, შეჯიბრება ინიშნება სამუშაო საათებში. მაგალითად, თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის წლევანდელი პირველობა ფრენბურთში სამუშაო დღეს და სამუშაო საათებში დაინიშნა, რის გამოც ბევრმა კოლექტივმა გუნდი დროულად ვერ წარმოადგინა. სამუშაო საათებშია დაგეგმილი რესპუბლიკური ღონისძიებების ნაწილიც, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მასობრიობაზე, ისე მაყურებელთა რაოდენობაზე.

ჯერ კიდევ პრობლემად რჩება დასვენების ზონის საკითხი. რესპუბლიკაში ბევრგან გვაქვს სანიმუშო პირობები ამ ზონის მოსაწყობად. გორელმა მშრომელებმა ამ საამი წლის წინ სოფელ კარალეთში ხელოვნური ტბა გააკეთეს, ირგვლივ მოაწყვეს სპორტული მოედნები, საჭიდაო სარბიელი, ღია და დახურული პავილიონები, გასახდელები, შეიძინეს ინვენტარი, მაგრამ ეს არ კმარა. იმისთვის, რომ კარალეთის ტბა ორგანიზებული დასვენების ზონად იქცეს, ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურის კომიტეტებს მეტი მონდომება მართებთ.

ბათუმში წლიდან წლამდე გამოუყენებელი რჩება მთა ციხკარა, რომელიც სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულთათვის შესანიშნავ ბაზად შეიძლება იქცეს. მთელ ზამთარს გამოკეტილია შენობა, რომელშიც ზაფხულობით პიონერთა ბანაკია დაბინავებული. წლის უმეტეს დროს უქმად ცდება რესპუბლიკის ყველა სხვა ქალაქგარე ბანაკიც.

წლობით ჭიანურდება მცხეთაში, მტკვრის ნაპირზე დაწყებული ნიჩბოსნო სადგურის მშენებლობა, რომელიც განთიადელთა დასვენების ზონის შესაქმნელადაა გათვალისწინებული. ჯანმრთელობის ზონის შესაქმნელად შესანიშნავი პირობებია, აგრეთვე, ‑ჭომის დასახლებაში (ქუთაისი).

რესპუბლიკის ბევრი სპორტული ბაზა მშრომელთა ფართო მასებისთვის ჯერ კიდევ არაა ხელმისაწვდომი: არა აქვთ მასობრივი ღონისძიებების კალენდარი, ბაზების უწყებრივი უფლებები ხშირად აფერხებს მასობრივი დასვენების უკეთ მოწყობას. ამას გარდა, ბევრგან უკმარი და უხარისხოა ინვენტარი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

სპორტული ქრონიკა

✦ **ზუგდიდი**

მასწავლებელთა საქალაქო სპარტაკიადა ოთხ სახეობაში — ჭადრაკში, შაშში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში ჩაიმართა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა 1-ლი საშუალო სკოლის პედაგოგთა ნაკრებმა.

ბ. ალშიბაია.

მხოლოდ ტურნირის შედეგები...

ბიჭები. თავისუფალი სტილი. **50 მ.** თ. ბახუტაშვილი — 27,8, გ. დობორჯგინიძე (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 29,5, ბ. გრიგორიევი (ჭიათურა, „განთიადი“) — 30,3; **100 მ.** ა. ბუკაშკინი (აჭარა, „განთიადი“) — 1.01,2, ბახუტაშვილი — 1.03,2, დობორჯგინიძე — 1.05,3; **400 მ.** ბუკაშკინი — 5.02,0, ს. მაკაროვი (თბილისი, „დინამო“) — 5.04,0, გრიგორიევი — 5.15,3; **800 მ.** მაკაროვი — 10.14,0 (ბიჭების რესპუბლიკური რეკორდი), გრიგორიევი — 10.47,8, ი. ბრიზგალოვი (თბილისი, „დინამო“) — 11.05,7; **ბატერფლაი. 100 მ.** ბუკაშკინი — 1.05,5, ა. ებრალიძე (აჭარა, „სპარტაკი“) — 1.11,8, ე. შაიდულოვი (თბილისი, განათლების განყოფილება) — 1.16,3; **200 მ.** ბუკაშკინი — 2.35,5, ნ. ნიკოგოსოვი (თბილისი, „დინამო“) — 2.47,3, შაიდულოვი — 2.48,9; **ბრასი. 100 მ.** ბახუტაშვილი — 1.18,5, გრიგორიევი — 1.24,3, ა. პაპიაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.25,6; **200 მ.** გრიგორიევი — 3.01,2, ვ. სიროტინი (თბილისი, „განთიადი“) — 3.01,7, ქ. კაზაკოვი (თბილისი, „დინამო“) — 3.05,9; **გულაღმა. 100 მ.** ნ. ფარჯანაძე (თბილისი, „დინამო“) — 1.15,2, ვ. ბუდნიკოვი (აჭარა, „სპარტაკი“) — 1.15,3, პ. თათაროვი (თბილისი, „განთიადი“) — 1.21,4; **200 მ.** ნიკოგოსოვი — 2.36,0, ბუდნიკოვი — 2.42,3, ფარჯანაძე — 2.49,0; **კომპლექსური. 200 მ.** ებრალიძე — 2.36,3, ნიკოგოსოვი — 2.38,0, გრიგორიევი — 2.47,0; **400 მ.** ბუდნიკოვი — 6.09,4, ა. დმიტრიევი — 6.14,9, ლ. მერთიანი (ორივე — აჭარა, „განთიადი“) — 6.28,4. **ესტაფეტა 4×100 მ** თავისუფალი სტილით. საქართველოს ნაკრები (ბახუტაშვილი, მაკაროვი, ბუკაშკინი, გრიგორიევი) — 4.24,2 (ბიჭების რესპუბლიკური რეკორდი).

ჭაბუკები. თავისუფალი სტილი. **100 მ.** ვ. გრიგორაშჩენკო (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — 58,4, ვ. თხორი (თბილისი, განათლების განყოფილება) — 1.00,4, ვ. გონჩაროვი (თბილისი, „დინამო“) — 1.00,7; **200 მ.** გრიგორაშჩენკო — 2.10,5, გონჩაროვი — 2.11,2, თხორი — 2.13,0; **400 მ.** ა. იორდანიშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — 4.46,7, ა. კლიმენკო (თბილისი, განათლების განყოფილება) — 4.50,5, ა. მლინაში (თბილისი, „დინამო“) — 4.57,8; **1500 მ.** ა. კრეტინინა (აჭარა, „დინამო“) — 20.34,4, მ. კაციტაძე (ჭიათურა, „განთიადი“) — 21.25,8, ი. ხიმჩენი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — 21.41,2; **ბატერფლაი. 100 მ.** გრიგორაშჩენკო — 1.07,5, ე. აზიზიანი (თბილისი, „დინამო“) — 1.10,7, გ. აბრამიანი (აჭარა, „განთიადი“) — 1.12,5; **200 მ.** აბრამიანი — 2.42,0, ა. ებრალიძე (აჭარა, „სპარტაკი“) — 2.43,8; **ბრასი. 100 მ.** დ. სირაძე — 1.18,3, ი. მუსასიევი (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 1.19,0, ა. მიხეევი (თბილისი, „განთიადი“) — 1.19,2; **200 მ.** მიხეევი — 2.51,4, სირაძე — 2.51,5, ი. ტოკარევი (თბილისი, განათლების განყოფილება) — 2.55,0; **გულაღმა. 100 მ.** თ. ხუბულაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.07,0, გონჩაროვი — 1.07,0, აბრამიანი — 1.12,6; **200 მ.** გონჩაროვი — 2.28,2, ხუბულაშვილი — 2.30,5, აბრამიანი — 2.38,2; **კომპლექსური. 200 მ.** ი. სემიონოვი (თბილისი, „დინამო“) — 2.28,2 (ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი), აბრამიანი — 2.30,0, იორდანიშვილი — 2.33,0; **400 მ.** აბრამიანი — 5.49,2, ებრალიძე — 5.52,2, ვ. იარმალჩუკი (აჭარა, „დინამო“) — 6.50,6; **ესტაფეტა 4×100 მ** თავისუფალი სტილით. თბილისის ნაკრები (თხორი, გონჩაროვი, კლიმენკო, გრიგორაშჩენკო) — 4.01,5 (ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი).

ვაჟები. თავისუფალი სტილი. **100 მ.** ს. მატვეევი (თბილისი, ასკ) — 59,1, ნ. ზემლიანუხინი (აჭარა, „ბურევესტნიკი“) — 1.00,2, ვ. სნიმშჩიკოვი (თბილისი, „დინამო“) — 1.00,8; **200 მ.** ი. ლისეცკი (თბილისი, „დინამო“) — 2.10,6, ზემლიანუხინი — 2.11,8, მატვეევი — 2.11,8; **400 მ.** ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო“) — 4.29,3, ზემლიანუხინი — 4.38,3, ვ. ჭარბაძე (თბილისი, „დინამო“) — 4.39,3; **1500 მ.** ლისეცკი — 17.56,6 (მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდი); **ბატერფლაი. 100 მ.** ზემლიანუხინი — 1.04,3, ვ. გოგოლევი (თბილისი, „განთიადი“) — 1.05,4, მატვეევი — 1.05,4; **200 მ.** იოაკიმიდი — 2.19,0, ა. ხეჩტოიანი (თბილისი, „დინამო“) — 2.21,0, ჭარბაძე — 2.27,0; **ბრასი. 100 მ.** ი. კირდიანოვი — 1.11,0, ა. ფეოკტისტოვი (ორივე — თბილისი, „დინამო“) — 1.14,2, ა. გურასაშვილი (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — 2.16,1; **200 მ.** კირდიანოვი — 2.34,8, გურასაშვილი — 2.44,3, ფეოკტისტოვი — 2.44,5; **გულაღმა. 100 მ.** ვ. კრასკო (აჭარა, „დინამო“) — 1.02,8 (საქართველოს რეკორდი), სნიმშჩიკოვი — 1.06,6, დ. ფროლოვი (აჭარა, „განთიადი“) — 1.08,8; **200 მ.** კრასკო — 2.14,0 (ჭაბუკთა საკავშირო და საქართველოს აბსოლუტური რეკორდი), სნიმშჩიკოვი — 2.24,0, ფროლოვი — 2.30,8; **კომპლექსური. 200 მ.** იოაკიმიდი — 2.23,0, კირდიანოვი — 2.27,3, ზემლიანუხინი — 2.27,9; **400 მ.** იოაკიმიდი — 4.59,5, ხეჩტოიანი — 5.18,8; **ესტაფეტა 4×100 მ** თავისუფალი სტილით. საქართველოს ნაკრები (მატვეევი, ზემლიანუხინი, იოაკიმიდი, სნიმშჩიკოვი) — 3.58,4 (საქართველოს რეკორდი); **4×200 მ.** საქართველოს ნაკრები (იოაკიმიდი, მატვეევი, ზემლიანუხინი, ლისეცკი) — 8.45,4 (საქართველოს რეკორდი).

დასასრული. იხ. „ლელო“ № 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

დაიწყო!

გუშინწინ თბილისსა და კიევში სტარტი აიღო სსრ კავშირის რეგბისტთა III ჩემპიონატმა, რომელშიც გამოდის მოსკოვის 4, რსფსრ-ს 3, ლენინგრადის, უკრაინისა და საქართველოს 2-2, ლიტვის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის თითო გუნდი. ჩემპიონატში პირველად მონაწილეობენ ყაზახეთის, უზბეკეთისა და მოლდავეთის კოლექტივები. სულ გათამაშებაში, რომელიც ორ ჯგუფად ტარდება, 20 გუნდი გამოდის, რაც წინა ჩემპიონატებზე გაცილებით მეტია.

უმაღლეს ლიგაში 8 გუნდია (ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, სპორტკლუბი „ფილი", „ავტომობილისტი" და „დინამო", ლენინგრადის „ბურევესტნიკი", კიევის „დინამო" და თბილისის „ლოკომოტივი"), მეორე ჯგუფში — დანარჩენი 12 კოლექტივი, რომელთა შორის თბილისის „დინამოც" გახლავთ.

მეორე ჯგუფის კოლექტივები სამ ქვეჯგუფად დანაწილდებიან და 26 ივლისს დაიწყებენ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლას. ქვეჯგუფებიდან 2-2 უძლიერესი გადამწყვეტ მატჩებს ერევანში გამართავს.

ქვემოთ გაგაცნობთ უმაღლესი ლიგის გუნდების I ტურის შეხვედრების შედეგებს.

„ლოკომოტივი" დაიძრა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 16 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 12:6 (6:6).

„ლოკომოტივი": ბენიაშვილი (აიწურაძე), ფეტვიაშვილი, გოგორიშვილი (კირტავა), დავითაია, ხანებლიძე, ნაცვლიშვილი, ხარშილაძე, კიზირია, თეიმურაზ რუხაძე, მიქაბერიძე, გეგეშიძე, დედაბრიშვილი, თენგიზ რუხაძე, კაპანაძე, კილასონია.

„ბურევესტნიკი": ხარიტონოვი, ორეხოვი (ლიუხანოვი), სმირნოვი, გამანოვი, ხარლამოვი, ბაშმაკოვი, ზელიანინი, აბალცევი, ვიშნევნიკი, შმაკოვი, ზისმანი, კრავეცი, ბოგუნოვი, კულიკოვი, რუმიანცევი.

მსაჯი ვ. საცკოვი (რსფსრ).

„ბურევესტნიკი". ლენინგრადის წლევანდელი ჩემპიონი და საკავშირო პირველობის დებიუტანტია. გუნდი „ახალსახლობას" ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. ფიზიკურად ძლიერ რეგბისტებს კარგი მცველები და სწრაფი თავდამსხმელები ჰყავთ, ტექნიკაში ტოლს არავის უდებენ, შესანიშნავად ფლობენ მარაოს, მოულოდნელ განივ შორეულ გადაცემებს. ერთი სიტყვით, ქვეყნის შარშანწინდელი ჩემპიონატის პრიზიორებს — რკინიგზელ სპორტსმენებს პირველივე მატჩში მეტოქედ „კერკეტი კაკალი" ხვდათ, რაც მატჩის მსვლელობამაც დაადასტურა.

დასაწყისში მასპინძლებმა შეუტიეს, მე-7 წუთზე კი მათ კარის აღების პირველი ცდის შესაძლებლობაც მიეცათ — კიზირიამ სცადა ცენტრიდან არეკნით დარტყმული ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის გაეტარებინა. ორიოდე წუთის შემდეგ კიზირიამ კომბინაცია წამოიწყო: გარღვევაზე კარგად გაიყვანა ხარშილაძე, რომელმაც თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან მოახერხა ბურთი მიქაბერიძისთვის ჩაეწოდებინა. ლენინგრადელ ორეხოვს თბილისელთა სწრაფი კაპიტნის შეჩერება წესის დარღვევად დაუჯდა.

თამაში მალე გათანაბრდა და ახლა სტუმრებმა დაბომბეს რკინიგზელთა კარი. მათი ერთ-ერთი იერიში წარმატებით დამთავრდა: შმაკოვმა საჯარიმო შორიდან დაარტყა, ბურთი ზედა ძელზე დაეცა და კარში გავიდა — 3:0. ეს მოხდა მე-13 წუთზე.

მერე თბილისელებს ხუთ წუთში ორჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ მიქაბერიძისა და კიზირიას საჯარიმოები მიზანს ასცდა. 21-ე წუთზე სტუმრებმა თბილისელთა დაცვის შეცდომით ისარგებლეს და ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს — 6:0. ეს საკმარისი გამოდგა, რომ რკინიგზელების ნერვიულობა გამქრალიყო. მათი თამაში უფრო მიზანსწრაფული გახდა და მეტოქის ნახევარს აღარც მოშორებიან.

30-ე წუთი მიდიოდა. მასპინძელთა ერთ-ერთი იერიშის დროს მეტოქის 22-მეტრიანის ზონაში შესულ მიქაბერიძესთან ბრძოლაში სტუმრები შეცდნენ. მსაჯმა შერკინება დანიშნა. თბილისელებმა ბურთი შერკინებიდან გამოიტანეს, კარგ მდგომარეობაში მყოფ კიზირიას მიაწოდეს და მან არეკნით დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 3:6. „ლოკომოტივმა" ტემპს კიდევ უფრო უმატა. სულ მალე კიზირიამ ზუსტად გამოიყენა საჯარიმო — 6:6.

თამაშის განახლებისთანავე თეიმურაზ რუხაძემ, დავითაიამ, თენგიზ რუხაძემ ზედიზედ ორჯერ არეკნით დაარტყეს. მართალია, ამას გოლი არ მოჰყოლია, მაგრამ სტუმრები დაიბნენ და მინდვრის საკუთარ ნახევარს მიეჯაჭვნენ. ლენინგრადელები არასაიმედო იარაღს — უხეშობასაც მიმართავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კრავეცი, რომელმაც მსაჯის უკანასკნელი გაფრთხილებაც დაიმსახურა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. სტუმრები, ალბათ ქულის გადარჩენას ზეიმობდნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე თენგიზ რუხაძის არეკნით დარტყმული ბურთის მოგერიებაში შეცდნენ. შერკინებიდან ბურთი ხარშილაძემ მიიღო და არეკნით დარტყმით გუნდი დააწინაურა. ბოლო წუთზე კი მიქაბერიძემ საჯარიმოს ზუსტად შესრულებით ანგარიში გაზარდა — 12:6.

ო. გელაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: „ლოკომოტივისა" და „ბურევესტნიკის" შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ბოლო წუთზე

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 16 ივლისი.

„ავტომობილისტი" (მოსკოვი) — „ფილი" (მოსკოვი) 14:13 (0:5).

„ავტომობილისტი": რასტორგუევი, მარტინოვი, ზახაროვი, უულიაგინი, არხიპოვი, კოშელიოვი, ბოლოტინი, ბოლდირევი, გრიგორიევი, სევოსტიანოვი, ფროლოვი, პოტიუხინი, ერშოვი (შირინსკი), ნოვიკოვი, სოლნცევი.

„ფილი": კიიანოვი (პროხტიაკოვი), ეტკო, ლიხაჩოვი, ერმაკოვი, სლეპჩენკო, ვანიუშკინი, მაქსინი, ივაშოვი, გავრილოვი, ბლინიკი, ლიუდვინოვი, ბელიაევი, ნოვიკოვი, ისიანოვი, კოროლჩუკი (კაროჩკი-ლევიცკი).

მსაჯი გ. პეტრაუსკასი (კაუნასი).

„ფილი" შარშანდელი საკავშირო პირველობის ვიცე-ჩემპიონი, მოსკოვის თასის მფლობელი და დედაქალაქის წლევანდელი პირველობის ლიდერია (გუნდში 11 სპორტის ოსტატი თამაშობს), „ავტომობილისტმა" (ყოფილი „სპარტაკი") კი შარშან ქვეყნის ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა. ამიტომ მაყურებელი მათგან დაძაბულ ბრძოლას ელოდა. არც შეცდარა. პირველ ტაიმში მაინც იგრძნობოდა „ფილის" ერთგვარი უპირატესობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც გუნდის კაპიტანმა, მოთამაშე მწვრთნელმა გავრილოვმა გრიგორიევის შეცდომებით კარგად ისარგებლა და ბურთიანად შეიჭრა „ავტომობილისტის" ჩათვლის მოედანზე, მერე კი ივაშოვმა ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია — 5:0.

„ავტომობილისტმა" მეორე ტაიმი უფრო ენერგიულად დაიწყო და 57-ე წუთზე კიდეც დაწინაურდა; ჯერ ზახაროვმა, შემდეგ სოლნცევმა საჯარიმოები ზუსტად გამოიყენეს, ხოლო ნოვიკოვმა თანაგუნდელთა იერიში მეტოქის ჩათვლის მოედანზე ბურთის დადებით დაამთავრა — 9:5.

„ფილიმ" მარცხის საშიშროება იგრძნო და თამაში გარდატეხის შეტანას შეეცადა. ამაში მას მეტოქის დაცვა დაეხმარა: „ავტომობილისტის" შეცდომების წყალობით ერმაკოვმა და ივაშოვმა ანგარიში 10:9-მდე გაზარდეს, შემდეგ კი ნოვიკოვმა ბურთი მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანზე დადო — 13:9.

„ფილის" წევრები და მათი გულშემატკივრები უკვე გამარჯვებას ზეიმობდნენ. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. მატჩის ბოლო წუთზე „ავტომობილისტმა" 5 ქულა მოიპოვა: კოშელიოვმა ძნელ ბრძოლაში თანაგუნდელების დახმარებით ძალით შეიტანა ბურთი „ფილის" ჩათვლის მოედანზე, სოლნცევმა კი ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია.

რ. მაღრაძე.

რომორც ჩემპიონს შეჰფერის

კიევი, 17 ივლისი (ტელეფონით). „დინამოსა" და „სპარტაკის" სტადიონებზე გაიმართა რეგბისტთა საკავშირო პირველობის მატჩები, რომლებშიც ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის გუნდი — მასპინძელთა „დინამოს" ხვდებოდა, ხოლო მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ მოსკოვისავე საავიაციო ინსტიტუტის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

— გაგარინელებმა ისე ითამაშეს, როგორც ჩემპიონს შეჰფერის. მათ მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 19:6. მოსკოვის გუნდების მატჩში იმარჯვეს სტუდენტებმა — 6:0.

დღეს

თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის სტადიონზე გაიმართება II ტურის შეხვედრები. პირველად მინდორზე გამოვლენ „ფილი" (მოსკოვი) და „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი). ეს მატჩი 17 საათზე დაიწყება. შემდეგ ითამაშებენ „ლოკომოტივი" (თბილისი) და „ავტომობილისტი" (მოსკოვი). დასაწყისი 19 ს.

როცა გუნდს ნაუცგათევად ადგენენ

კიევი, 16 ივლისი. პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 2:1 დაამარცხა სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი.

თუ სტუმრები ერთმანეთში კარგად პოულობდნენ საერთო ენას, საბჭოთა კოლექტივი აშკარად ცალკეულ რგოლებად იყო დაშლილი: გუნდის წევრები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, იგრძნობოდა, რომ ნაკრები სახელდახელოდ დააკომპლექტეს მატჩის წინ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ოლიმპიელთა ძირითადი ბირთვი „ადგილობრივი რესურსებით" — კიევის „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებით შეადგინეს.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: მე-19 წუთზე ბურთი გაიტანა ვანკევიჩმა. მე-40 წუთზე მეორე მე-7 ნომერმა — კოზერსკიმ გამოიჩინა თავი. შესვენების შემდეგ გოლის ავტორი გახდა გადოხა.

აი, გუნდების შემადგენლობანი: სსრ კავშირი — პროხოროვი, ლისენკო, რეშკო, დენეში, ჰოხონელიძე, ტროშკინი, ვანკევიჩი, სტეკოლნიკოვი (ფეტისოვი), გავაშელი, ბოგოვიკი (ვერემეევი), ონიშჩენკო; პოლონეთი — შიკულა, სტახურსკი, ვინკლერი, ანჩიკი, ზ. ბლაუტი, ცმიკევიჩი (შოლტისიკი), კოზერსკი, დეინა, დომარსკი (ბანასი), ბ. ბლაუტი, გადოხა.

ნორჩთა ფინალი

როგორც მუდამ, წლეულსაც დიდი ენთუზიაზმით და ალმაცერობით ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. საქართველოს ყველა კუთხეში — ქალაქად თუ სოფლად — ათასობით ბავშვი თავგამოდებით იბრძოდა თავისი პატარა კოლექტივის, უბნის, ქუჩისა თუ ეზოს სახელის დასაცავად. „ტყავის ბურთი"-70 სახისარულო ზეიმად იქცა.

ამ შეჯიბრებებმა, რომლებიც ეტაპებად მიმდინარეობდა, გამოავლინა რესპუბლიკური ფინალური ტურნირის მონაწილენი (1956-57 წლებში დაბადებულნი) — 12 გუნდი, რომლებიც თბილისს ეწვივნენ.

ჩამოვთვალოთ ისინი: ქუთაისის „ავტოქარხნელი", ზესტაფონის „მერცხალი", თბილისის „დილა", ხაშურის „აისი", ლენინგორის „იმედი", ფოთის „ძერჟინსკელი", ადიგენის „ნაკადული", ოჩამჩირის „ამირანი", ლაგოდეხის „განაპირა", ბოლნისის „სიონი", ბათუმის „წითელი ეშმაკუნები" და ტყიბულის „მერცხალი".

უკვე ჩატარდა პირველი მატჩები, უკვე იზეიმეს პირველი გამარჯვებები, პირველი გოლები, გამოჩნდნენ ახალი სახელები. ნორჩი ფეხბურთელები თამაშობენ მონდომებით, ხალისიანად, კარგად.

„ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშების ქვეჯგუფებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მეოთხედფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: ზესტაფონის „მერცხალი" — ხაშურის „აისი", ქუთაისის „ავტოქარხნელი" — თბილისის „დილა", ოჩამჩირის „ამირანი" — ბათუმის „წითელი ეშმაკუნები", ტყიბულის „მერცხალი" — ლაგოდეხის „განაპირა".

რესპუბლიკის ფინალური ტურნირი 25 ივლისამდე გასტანს.



მეთვრამეტე ქულა

მოსკოვი, 16 ივლისი. გუშინ აქ გაიმართა მორიგი ტურის მატჩი: ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო კიევის არმიელები. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში მიაღწიეს უპირატესობას (44:29), შესვენების შემდეგ კი სხვაობა გაზარდეს და გაიმარჯვეს — 89:67.

მოსკოველებს 30 მატჩის შემდეგ 18 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში V ადგილზე არიან. კიევის არმიელებმა კიდევ ერთი, მე-18 ქულა დაკარგეს. ისინი 10 ქულით VIII ადგილზე დგანან.

[illegible]

ასპინძა

აქ გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელმაც ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ასპინძის საშუალო სკოლის, ოშორის, იდუმალის, ხიზაბავრის, ჭობარეთისა და სხვა გუნდები. რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი პირად-გუნდური იყო. გუნდურ ჩათვლაში ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ: გ. რიყამაძე, თ. ბერიძე (ორივე — ასპინძის საშუალო სკოლა), დ. ივანიძე (ჭობარეთი), ს. ლეკიშვილი (ხიზაბავრა), ზ. ოთანიძე (ნაქალაქევი), ს. ყრუაშვილი (ხიზაბავრა), რ. იგითიანი (ასპინძის საშუალო სკოლა), თ. ზედგინიძე (ჭობარეთი).

ვ. ცინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟულ რიმე და მისი მემკვიდრეები

შიშველი მეფე

საბჭოთა ნაკრების თამაშის შეფასებაში მექსიკურმა პრესამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე იგი სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდს გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდა. მექსიკელებთან პირველი შეხვედრის შედეგი იქაურმა გაზეთებმა საბჭოთა სპორტსმენების ჯენტლმენობასაც კი მიაწერეს: აქაოდა, მასპინძლებთან გამარჯვებისთვის მაინცდამაინც არ მოუკლავთ თავი — თავიანთი უნარის მესამედიც არ გამოავლინესო... ბელგიის ეროვნულ გუნდთან მოგებული თამაშის შემდეგ ადგილობრივმა პრესამ სსრ კავშირის ნაკრებისადმი დამოკიდებულებაში სტატუს-კვო შეინარჩუნა, მაგრამ სალვადორელებთან უფერულად ჩატარებულმა მატჩმა ყველაფერს ცივი წყალი გადაასხა: მექსიკელი ჟურნალისტები დაიბნენ და გაოცებული ამბობდნენ: საბჭოთა ფეხბურთელები მგონი მთლად ფავორიტები არ უნდა იყვნენო... ბოლოს კი, ურუგვაელებთან მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ, გაზეთები პირდაპირ წერდნენ საბჭოთა ნაკრებზე, ეს რა გუნდი ჩამოუყვანიათო?!.

გამახსენდა ანდერსენის ცნობილი ზღაპარი შიშველ მეფეზე...

ამგვარი ფიასკო ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო, ვინაიდან საბჭოთა ფეხბურთელებმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს შესარჩევი მატჩები. მაგრამ სწორედ მექსიკაში გამგზავრების წინ ისინი მოსკოვში დამარცხდნენ პოლონეთის ეროვნულ გუნდთან (0:2). ეს თამაში საბედისწერო გამოდგა: მან ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა შეურყია, მწვრთნელებში კი პირდაპირ პანიკის კარგა მსხვილი მარცვლები დათესა (ეს მატჩი ან სულ არ იყო საჭირო, ანდა მისი შედეგისთვის არ უნდა მიენიჭებინათ ესოდენ დიდი მნიშვნელობა). და მაშინ, როცა ანსამბლის ყველა რგოლი საბოლოოდ დადგენილი უნდა ყოფილიყო, დაეჭვდნენ გუნდის ხაზების სწორად დაკომპლექტებაში აქედან გამომდინარე „ორგანიზაციული დასკვნებით".

„აცტეკის" სტადიონზე საბჭოთა ნაკრები შეუთამაშებელი ჩანდა. გაიშვიათებული ჰაერის პირობებში, როცა ბურთი გაცილებით სწრაფად მოძრაობს, სსრ კავშირის ფეხბურთელთა გრძელი გადაცემების სიზუსტის კოეფიციენტი თითქმის ნულს უდრიდა — ბურთი, როგორც წესი, სცდებოდა გვერდით და პირით ხაზებს. ალბათ, გახსოვთ, ასეთი უზუსტო გადაცემების ხშირი „ავტორი" მუნტიანი გაოცებისგან ხელებს შლიდა, მაგრამ ეს, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა.

„ლიანდაგზე შემდგარი" ევრიუჟიხინი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა წინ და უკან და ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ განახორციელა მეტოქეთა კარის გასწვრივ მშვენიერი ჩაწოდება, მაგრამ ცარიელი კარის წინ მდგარმა ხმელნიცკიმ მოახერხა ურუგვაელთა „გადარჩენა" ნაღდი ხიფათისგან.

საბჭოთა ნაკრები უმეტეს შემთხვევაში აშკარად გამოხატული თავდაცვითი სისტემით მოქმედებდა და თამაშს კონტრიერიშებზე აგებდა. ეს იყო პრინციპული ტაქტიკური შეცდომა. მექსიკის IX მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა ფეხბურთის დედაარსმა — შეტევამ. ეს იყო ამ სტილის ნამდვილი ზეიმი (იტალიელები ბრაზილიის ნაკრებთან გადამწყვეტ მატჩში თავიდანვე იყვნენ განწირული, ვინაიდან თავიანთი კარის მისადგომებთან ტრადიციული ბასტიონები ალმართეს და კონტრიერიშების იმედით დარჩნენ).

აკი თავად შესტერნიოვმა თქვა ურუგვაელებთან მატჩის შემდეგ: „არასასიამოვნო საქმერი იყო, როცა ჩვენი 4-5 მცველი მოწინაალმდეგის ორ თავდამსხმელს სდარაჯობდა..."

რახან დაცვაზე ჩამოვარდა სიტყვა, აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ნაკრების რგოლთა შორის ყველაზე ძლიერად სწორედ დაცვის ხაზი გამოიყურებოდა. ჩემი აზრით, იგი გაცილებით უფრო მძლავრი იქნებოდა, ხურცილავასთვის „თავისი თამაშის" უფლება რომ მიეცათ. მწვრთნელები მას კატეგორიულად უკრძალავდნენ წინ წასვლას, შეტევაში მონაწილეობას, და, ასე გასინჯეთ, საჯარიმო დარტყმებსაც კი (ამისთვის მუნტიანი იყო გამოყოფილი). ხურცილავაც მორჩილად ასრულებდა ამ უცნაურ, მისი თამაშისთვის დიამეტრალურად საპირისპირო, სრულიად შეუფერებელ დავალებას — მივიდოდა მინდვრის შუა ხაზამდე, მოიცილებდა ბურთს და უკან ბრუნდებოდა. ისე კი, ალბათ ყველას გახსოვთ სულ ახლო წარსულში სწორედ ხურცილავას რეიდებისა და დარტყმების წყალობით სსრ კავშირის ნაკრების მოგებული თუ გადარჩენილი მატჩები...

ერთი საყურადღებო ამბავიც: ამ ათიოდე წლის წინათ საბჭოთა ფეხბურთელები თავიანთ უცხოელ მეტოქეებთან შედარებით ბევრად უკეთ იყვნენ ფიზიკურად მომზადებული. ეს ზღვარი ნელ-ნელა წაიშალა... მექსიკის მატჩებში კი მოწინავე გუნდებმა, პირველ ყოვლისა, ბრაზილიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, პერუს, ინგლისისა და რუმინეთის ნაკრებმა კოლექტივებმა საოცრად მაღალი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. საბჭოთა ნაკრებს ეს უპირატესობა უკვე აღარ აქვს და ესეც გახლდათ მისი მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

... ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტმა მერი კრისტინ ანჯელომ მსოფლიოს იდეალური ნაკრები შეადგინა... ყველაზე ელეგანტურად მოთამაშე, სანდომიანი ფეხბურთელებისგან. მექსიკის სპორტულმა გაზეთმა „ესტომ" მთელი გვერდი (იხ. ფოტო) დაუთმო ამ, ასე ვთქვათ, ქალის თვალით შედგენილ ნაკრებს — ფეხბურთელთა პორტრეტები მოათავსა სათანადო კომენტარით.

ნაკრებში შევიდნენ: კალდერონი, დომიდე, ბეკენბაუერი, მური, ახათიანი, რივერა, ბიშოვეცი, კუბილასი, ლი, ბოლი, ჰერსტი.

რაც გინდათ თქვით და, ასეთ კომპანიაში ახათიანის გამოჩენამ ჩვენ — ქართველი ჟურნალისტები — ძალიან გაგვახარა. მით უმეტეს, რომ კახი ახათიანის ახლოს გაცნობამ ჩემზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ამ განათლებულ, საინტერესოდ მოლაპარაკე, თანაც ძალიან თავაზიან ფეხბურთელს ყველა საიმისო პირობა აქვს, რომ მომავალში მამაკაცების შედგენილ მსოფლიო ნაკრებში მოხვდეს.

მ. კაკაბაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მეხიკო—თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 131, 132, 134, 135, 137.

მსუბუქი ათლეტიკა

დავაში ქალები ჩაებნენ

შტუტგარტი (გფრ), **16** ივლისი. გფრ-ისა და აშშ-ს მძლეოსანთა გუნდების მატჩის პირველი დღის შემდეგ სტუმრები მასპინძლებთან 2 ქულით აგებენ — 83:85. ვაჟთა შეჯიბრებაში ლიდერობენ ამერიკელები (58:48), მაგრამ ამჯერად, ევროპაში ფრანგებსა და ამერიკელებს შორის გამართული პირველი მატჩისგან განსხვავებით, სარბიელზე ქალთა გუნდებიც გამოდიან და წინ მასპინძლები არიან — 37:25.

მატჩი საღამოს დაიწყო „ნეკარშტადიონზე" (1965 წელს აქ საბჭოთა მძლეოსნებმა პირველად მოიგეს ევროპის თასი). პირველი დღის საუკეთესო შედეგი ფარდის დახურვის წინაა ნაჩვენები: 29 წლის მიუნჰენელმა ი. შვარცმა სიგრძეზე ხტომაში ბოლო, მეექვსე ცდაზე 835 სმ აჩვენა. მხტომელმა, რომელმაც პირველად სულ რამდენიმე დღის წინ გადალახა 8-მეტრიანი ზღვარი, ახლა მოსკოველი ი. ტერ-ოვანესიანის ევროპული რეკორდი გაიმეორა.

15 ათასი მაყურებელი ესწრებოდა მწვავე ბრძოლას, რასაც რამდენიმე ძალიან მაღალი შედეგი მოჰყვა. ჰ. ბირლენბახმა ბირთვი 20,35 მეტრზე ჰკრა და ამ სახეობაში გფრ-ის რეკორდი განაახლა. შუბის მტყორცნელთა შორის გამოირჩეოდა ტანადი (198 სმ) ამერიკელი ბ. სკინერი — 88,94 მ. სკინერის სიტყვით, „ეს წარმატება შესანიშნავი ტარტანის ბილიკის დამსახურებაა, რომელიც ძალიან მოხერხებულია მაღალი, „მძიმე" მტყორცნელებისთვის".

ვაჟთა ასპარეზობის შედეგები ასეთია (ვასახელებთ გამარჯვებულს და საუკეთესოს მისი მეტოქე გუნდიდან): **რბენა. 100 მ.** ბ. ვოუნი (აშშ) — 10,0 (ზურგის ქარი), ... 3. ჰ. ნიკელი — 10,3; **400 მ.** ჯ. სმითი (აშშ) — 45,1, ... 3. ტ. იორდანი — 45,4; **1500 მ.** ი. მაი (გფრ)—3.40,7, ჰ. მაიკლი — 3.43,1; **10000 მ.** გ. ლეტცერიჰი (გფრ) — 28.50,4, 3. ბიერკლუნდი — 28.50,4; **ესტაფეტა 4×100** — აშშ (კროკეტი, ვოუნი, ჰარტი, ტეილორი) — 39,3, გფრ (ჰოფმაისტერი, ბილერი, ვუჰერერი, აიჰენჰერი) — 39,6. **400 მ თარჯრბენი.** რ. მენი (აშშ) — 49.3. რ. შუბერტი — 49,8. **ხტომა. სიგრძეზე.** შვარცი (გფრ) — 835, ... 3. კოულმენი — 788. **ჭოკით.** ს. კარაზერსი (აშშ) — 520, ... 3. ჰ. ენგელი — 500. **შუბი.** ბ. სკინერი (აშშ)—88,94, ქ. ვოლფერმანი — 83,92. **ბირთვი.** ბირლენბახი (გფრ) — 20,35, ... 3. ს. ვილჰელმი — 19,06.

ქალთა შეჯიბრებაში პირველი დღის 6-დან 5 სახეობა მასპინძლებმა მოიგეს. მაგრამ საერთაშორისო შეხვედრებში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა აშშ-ს ნაკრების წევრს, 15 წლის მოსწავლე მ. ლენგსაც, რომელმაც 200 მეტრზე რბენაში შესანიშნავი შედეგით გაიმარჯვა — 23,2.

ქალები. რბენა. 200 მ. ლენგი (აშშ) — 23,2, რ. იანი — 23,7; **800 მ.** ჰ. იანცე (გფრ) — 2.04,6, შ. ტუსენი—2.05,2. **100 მ თარჯრბენი.** ჰ. როზენდალი (გფრ) — 13,1, 3. ჯონსონი—13,3. **ესტაფეტა 4×400.** გფრ (გერჰარდი, ეკჰოფი, ალმაიერი, ფრიზე) — 3.35,1, აშშ (სკოტი, ფიცჯერალდი, ჰილი, ჰემონდი) — 3.37,0. **სიმაღლეზე ხტომა.** რ. გერტნერი (გფრ) — 178, ... 3. ზ. სიმპსონი — 165. **ბადრო.** ლ. ვესტერმანი (გფრ) — 59,92, ... 3. რ. კლეტჩკა — 48,42.

20.45

◆ **შტუტგარტი, 17** ივლისი. ევროპაში წლეულს თავისი მეორე მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრებმა ამ ქალაქის სტადიონზე წააგო გფრ-ის ნაკრებთან — 175:182. დასავლეთგერმანელი სპორტსმენების ამ დიდ წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს მასპინძელმა ქალებმა, რომლებმაც ამ ქვეყნების ნაკრები კოლექტივების შეხვედრების ექვსწლიან ისტორიაში ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს — 82:53. ვაჟთა ტურნირში სტუმრებმა გაიმარჯვეს — 122:100. ვაჟთა გარბენი 800 მეტრზე წლეულს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი გამოდგა და ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდიც მოიტანა: კ. სვენსონმა ეს მანძილი 1 წუთსა და 44,8 წამში დაფარა. ფინიშთან მეორე იყო ვ. ადამსი (გფრ), რომელმაც ევროპის რეკორდი გაიმეორა — 1.44,9. 200-მეტრიან დისტანციაზე რბენაში ყველას აჯობა ვ. ტერნერმა (აშშ) — 20,3, ხოლო 100 მეტრზე ქალთა შეჯიბრებაში მისმა თანამემამულემ ი. დევისმა — 11,2. უ. ბაიერმა (გფრ) გაიმარჯვა უროს ტყორცნაში (70,78 მ), ხოლო მისმა თანაგუნდელმა ჰ. მაგერმა — სიმაღლეზე ხტომაში (217 სმ). ახლა აშშ-ს ნაკრები 23-24 ივლისს ლენინგრადში შეეჯიბრება საბჭოთა მძლეოსნებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 03335